მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტი“** |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 204521375 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ისანი-სამგორი |
| მისამართი | თბილისი, ნავთლუღის ქ. 8 |
| საფოსტო ინდექსი | 0113 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://www.schoolintellect.com |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | intellect.intel@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 274 88 10; 274 64 02 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | ორესტ პესჩანენკო |
| ტელეფონი | +(995) 577 740 900 |
| ელ-ფოსტა | opeschanenko@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 44 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 7 |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 380/1 |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | გადაწყვეტილება N11, 17.01.2017 წ. |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 400 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**დაწესებულება ახორციელებს**

| | |
|---|---|
| დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | ☐ |

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 364 11.05.2018 წ. |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | სერგო დურგლიშვილი (თავჯდომარე)<br>ცირა ნიკოლაშვილი (წევრი) |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 14.05.2018 წ. – 16.05.2018 წ. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 31.05.2018 წ. |

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

### I. საგანმანათლებლო პროგრამები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### 1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" მისია: „სკოლა შექმნილია საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბავშვების სასწავლებლად, რომელთათვის რუსული ენა არის მშობლიური. სკოლა უწევს ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურეობას როგორც საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა მშობლები მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა სამეწარმეო სფეროში, აგრეთვე ჩვენ თანამემამულეებს, რომლებიც ბრუნდებიან და გადმოაქვთ თავისი საქმიანობა საქართველოში. დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლების შვილებს.<br><br>სკოლის მისია მდგომარეობს განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის რეალიზებაში. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოთხოვნების შესამამისად.სწავლება სამსაფეხურიანი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)<br><br>აქედან გამომდინარე სკოლის მისიის ძირითადი ამოცანაა:<br>1. შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებსა და ღირებულებებს, ასევე განავითარებენ სხვადასხვა სფეროებში პოზიტიურ უნარ-ჩვევებს. მოახდენენ ცოდნის წარმატებით იმპლემენტაციას და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციებში.<br>2. დამატებითი სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, ინოვაციური პედაგოგიკისა, და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით პროგრამული მასალის გაფართოება და მოსწავლეების უზრუნველყოფა ხარისხიანი განათლებით.<br>3. დამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას,მოსწავლეს შესძინოს თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები;<br>4. მრავალფეროვანი სოციუმისა და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსწავლეთა წარმომადგენლების პირობებში ადაპტირებული სკოლის პრინციპებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

5. იზრუნოს პედაგოგების პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე, რათა შენარჩუნებული იქნას მაღალი აკადემიური სტანდარტი;
6. სწავლების მთავარი პრინციპია: სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს:
   - შეფასების საკუთარი ფორმების შემუშავებას;
   - საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაციას;
   - საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერებას;
   - მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას;
   - შიდა სასკოლო, სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტების დანერგვასა და მართვას;
   - უცხოური ენის (ინგლისური) და სხვა დისციპლინების გაღრმავებული სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;"

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტმა" წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი წესით.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: სკოლის მისია, საფეხურის მიზნები, საგანმანთლებლო პროცესის ორგანიზება, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დებულება, მიზნები და ამოცანები, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, კათედრის დებულება და სამუშაო გეგმა, შეფასების სისტემა და შეფასების რუბრიკები, ინკლუზიურ განათლების დებულება, სადამრიგებლო პროგრამა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია საგნები, რომლებსაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით; კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურება:

1. ისტ. II—III—IV კლ. _ 1 საათი I სემესტრში.
2. გეოგრაფია VIკლ. _ 1სთ.
3. ფიზიკა VII კლ. _ 2სთ.
4. ბიოლოგია XI კლ. – 2სთ.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................
ექსპერტი ------------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

5. ქიმია VIII კლ. – 2სთ. და XII კლ. – 1სთ.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი მომსახურება:

1. ძველი მსოფლიო ისტორია Vკლ. -- 1 საათი.
2. შუა საუკუნების ისტორია VI კლ. -- 1 საათი.
3. შრომა V -- VIII კლასებში -- 1 საათი
4. სახელმწიფო და მოქალაქეობა XI-XII კლ. _ 1 სთ.

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში დააზუსტა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე და წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო მომსახურებით გათვალისწინებული საგნების სასწავლო გეგმები, სადაც გაწერილია სწავლების მიზნები, პროგრამა/საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების სახეები.

სკოლას არჩეული აქვს სპორტის სამი სახეობა: ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

სკოლაში ფუნქციონირებს წრეები: ქართული ცეკვა, სამეჯლისო ცეკვა, ვოკალური წრე, ხატვა, 3D ხატვა, გამოყენებითი ხელოვნება.

ისწავლება არჩევითი საგნები სახელმწიფო და მოქალაქეობა და ბიოლოგია.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არაქართულენოვანი სკოლებისათვის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში. სწავლების ენა არის რუსული. რუსულად ისწავლება ყველა საგანი. მიმდინარეობს ქართულის როგორც მეორე ენის სწავლება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა ყველა საგნისა და კლასისათვის.

მონიტორინგის ვიზიტის პირველივე დღეს შემოწმდა მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-10 და მე-12 კლასები. გაკვეთილზე გამოიყენებოდა გრიფმინიჭებული და სხვა დამატებითი სახელმძღვანელოები, რომლებიც მითითებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სკოლის დირექტორის განმარტებით მესამე კლასის სახელმძღვანელო: „Окружающий мир» А. Плешакова სკოლაში მშობლის ინიციატივით იყო მოტანილი. სკოლის ადმინისტრაციამ აკრძალა ამ სახელმძღვანელოთი სწავლება. დირექტორმა აღნიშნა, რომ პერიოდულად (კვირაში ერთხელ) მოწმდება მოსწავლეთა მიერ მოტანილი სახელმძღვანელოები, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი შემთხვევები. მისი თქმით, სკოლა სრულად აკონტროლებს სახელმძღვანელოებს, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები. |
| დადასტურება/დანართი | • შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• საგნის გეგმები (სილაბუსები)<br>• ინტერვიურებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ წარმოადგინა 2017/2018 სასწავლო წლის კათედრების სამუშაო გეგმები დამტკიცებული დირექტორის მიერ. მოქმედებს შემდეგი კათედრები: 1. ქართულის როგორც მეორე ენის კათედრა; 2. მშობლიური (რუსული) ენის კათედრა; 3. უცხოური ენების (ინგლისური) კათედრა; 4. მათემატიკის კათედრა; 5. საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა; 6. ჰუმანიტარული და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 7. ხელოვნებისა და ტექნოლოგიების კათედრა; 8. სპორტის კათედრა; 9. დაწყებითი კლასების კათედრა;<br><br>კათედრის მუშაობას უძღვება თავმჯდომარე. კათედრა განსაზღვრული გეგმის ფარგლებში მუშაობს; მიმდინარეობს მასწავლების ურთიერთდასწრება, შეხვედრები და გამოცდილების გაზიარება. კათედრის მუშაობა აღინუსხება სპეციალურ სამუშაო ჟურნალში. დირექტორის მოადგილე განსაზღვრული პერიოდულობით ახორციელებს კათედრის მუშაობის მონიტორინგს სპეციალურად შემუშავებული ფორმის მეშვეობით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია. აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, რისთვისაც შემუშავებულია საერთო ფორმა: განსაზღვრულია ინდიკატორები, რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად დავალება, ახლავს შეფასების რუბრიკა. მოსწავლეთა ქულები წარმოდგენილია, გამოკვეთილია საჭიროებები და შემუშავებულია რეკომენდაციები. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონული სახით. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ინახება სკოლაში. შემაჯამებელი დავალებების ტიპები საგნების უმრავლესობაში არის მრავალფეროვანი. საგანთა ნაწილში შემაჯამებელი დავალების ძირითად ტიპად გამოყენებულია კომბინირებული ტესტი.<br>სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის სადამრიგებლო პროგრამა და სადამრიგებლო პროგრამა თითოეული კლასისათვის. პროგრამაში გაწერილია სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებები და განხორციელების ვადები. სპეციალურ ჟურნალებში წარმოდგენილია დამრიგებლების ანგარიშები ჩატარებული სამუშაოების შესახებ.<br>მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილია საგნის თემატურ-კალენდარული გეგმები და შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები თითოეული კრიტერიუმის მიხედვით დეტალურად არის გაწერილი. მასწავლებლების პორტფოლიოები ინახება ელექტრონული სახით.<br>სკოლაში მიღებული/ჩარიცხული მოსწავლის საჭიროებების შეფასება ხდება პროცედურების მიხედვით. აღნიშნული პროცედურები სკოლამ გაწერა მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში. სწავლება მიმდინარეობს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე. ინდივიდუალური გეგმები შედგენილიოა როგორც ქართული ენისათვის, ასევე სხვა საგნებისათვის. განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება შედეგების მიღწევის მონიტორინგი. |
| დადასტურება/დანართი | • კათედრის დებულება<br>• კათედრის ჟურნალები<br>• სადამრიგებლო პროგრამა<br>• დამრიგებლის ჟურნალები<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | • შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია<br>• „უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეების სკოლა „ინტელექტში" ჩარიცხვის პროცედურები" |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, რომელიც ირიცხება მე-11 კლასში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით მოსწავლის განათლების მიღება უნდა უზრუნველყოფილ იქნეს შინ სწავლების მეთოდით, რადგან მოსწავლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დადის სკოლაში. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული მოსწავლესთან ვიზიტების გრაფიკი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის სხდომის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განხორციელდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი. |
| დადასტურება/დანართი | • ისგ-ს ჯგუფის სხდომის ოქმები<br>• ვიზიტების გრაფიკი<br>• მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა<br>• ისგ-ს მონიტორინგის ფორმები |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------------

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. 2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში საგნის წლიური გამოცდები არ ტარდება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგნობრივი ჯგუფებისათვის შეფასების კრიტერიუმები, თანდართულია რუბრიკები. შეფასების რუბრიკები მკაფიო და კონკრეტულია. რუბრიკები მასწავლებლის პორტფოლიოების ნაწილია. შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეებისათვის. რუბრიკები ხელმისაწვდომია საკლასო ოთახებშიც. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• მასწავლებლის პორტფოლიოები;<br>• ინტერვიუები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი |

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობლების ინფორმირებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და საჭიროებების შესახებ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პირადი შეხვედრების მეშვეობით. სკოლას განსაზღვრული აქვს მშობლებისათვის მასწავლებლებთან შეხვედრის დღე და საათები.<br>სკოლაში ტარდება სხვადასხვა საგნის კვირეულები. ღია გაკვეთილების ესწრებიან მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაციის წევრები.<br>სკოლას აქვს ვებგვერდი (http://www.schoolintellect.com/) და გვერდი სოციალურ ქსელში (https://web.facebook.com/schoolintellect/), რომელებზეც თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • დამრიგებლის პორტფოლიოები;<br>• ინტერვიუები;<br>• ვებ-გვერდი; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი |

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია სამოქმედო გეგმა, შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.<br><br>სკოლაში მოქმედებს შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის“ შიდა სასკოლო კონტროლის დებულება. დებულება განსაზღვრავს შიდა სასკოლო კონტროლის მიზნებსა და ამოცანებს. განსაზღვრულია კონტროლის მეთოდები. შიდა სასკოლო კონტროლის ფორმებია: პერსონალური, თემატური, შემავალი და საკლასო განმაზოგადებელი.<br><br>ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა მონიტორინგი და კონტროლი. სკოლამ წარმოადგინა კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების (მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ანკეტირება, დაკვირვება) ანალიზი და რეკომენდაციები.<br><br>შიდა სასკოლო კონტროლს ახორციელებენ სკოლის ადმინისტრაციის წევრები. „პერსონალური“ კონტროლის დროს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და სასწავლო პროცესის მენეჯერი ესწრებიან გაკვეთილებს და აფასებენ მასწავლებელების მუშაობას წინასწარ შემუშავებული ფორმების მეშვეობით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ---------------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | პერიოდულად ტარდება „საკლასო განმაზოგადებელი დაკვირვება", რაც გულისხმობს გარკვეული პერიოდის მანძილზე შერჩეულ კლასებზე მიზანმიმართულ დაკვირვებას და ვითარების ანალიზს კლასების ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გამოსავლენად. „შემავალი კონტროლი" ხორციელდება რუსულსა და მათემატიკაში სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს, რათა დააკვირდნენ მოწავლეების პროგრესს.<br>დირექტორის მოადგილე სასწავლო წლის ბოლოს ამზადებს შიდა სასკოლო კონტროლის ანალიტიკური ცნობა |
| დადასტურება/დანართი | • შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" სასკოლო შეფასება<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" მოსწავლეთა შეფასების დებულება<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" შიდა სასკოლო კონტროლის დებულება<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის" თვითშეფასების ფორმები |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ" პუნქტი. ვ) შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. |

## II. მატერიალური რესურსი

**2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**
**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი ფუნქციონირებს ქ. თბილისში, ნავთლუღის ქ. 8 - ში მდებარე საკუთარ ორ სართულიან შენობაში. (მიწის საკადასტრო კოდი N01.17.12.023.012).<br>რეესტრის ამონაწერის თანახმად დაზუსტებული ფართობი: 18352,00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 01.17.12.023.009, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა N1 - საერთო ფართით 694.66 კვ.მ. (აქედან I |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....ს. ...................................
ექსპერტი -----------------------------------------------------------

<table>
<tr><td></td><td>სართული ფართით 305.05 კვ.მ., II სართული ფართით 389.61 კვ.მ.); შენობა N2 - საერთო ფართობით 337.43 კვ.მ.; შენობა N3 - საერთო ფართით 586.08 კვ.მ. (აქედან I სართული ფართით 290.25 კვ.მ., II სართული ფართით 295.83 კვ.მ.); შენობა N5 - საერთო ფართით 3129.22 კვ.მ. (აქედან I სართული ფართით 1548.16 კვ.მ., II სართული ფართით 1581.06 კვ.მ.); შენობა N6 - საერთო ფართით 3220 კვ.მ. (აქედან I სართული ფართით 1642.38 კვ.მ., II სართული ფართით 1577.62 კვ.მ.).<br>სკოლის დირექტორის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება N9 თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტი“განთავსებულია შენობა N5 - ში - 3129 კვ.მ. და შენობა N1-ის მე-2 სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი - 389.61 კვ.მ.<br><br>№ | მისამართი | კვ.მ.<br>1 | ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ნავთლუღის ქ. 8 (სასწავლო კორპუსი) | 3129<br>2 | ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ნავთლუღის ქ. 8 (სააქტო დარბაზი) | 390</td></tr>
<tr><td>მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი</td><td>01.17.12.023.012</td></tr>
<tr><td>დადასტურება/დანართი</td><td>• ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;<br>• შენობის შიდა აზომვითი ნახაზით;<br>• სკოლის დირექტორის2007 წლის 15 ივნისის ბრძანება N9;<br>• ვიზუალური დათვალიერებით.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.</td></tr>
</table>

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა "ინტელექტი" საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულის 23 საკლასო ოთახში. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის 322 ინდივიდუალური მერხითა, 100 ორადგილიანი მერხითა და 430 სკამით. სკოლას სულ გააჩნია **422 მერხი და 430 სკამი.**<br>კარადებით, დაფებით, მასწავლებლების მაგიდებით აღჭურვილია სკოლაში განთავსებული სასწავლო საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ლაბორატორია და კომპიუტერული ცენტრი.<br>სკოლაში არის სასადილო, ბუფეტი, სპორტული დარბაზი, მაგიდის ჩოგბურთის დარბაზი, სააქტო დარბაზი, ექიმისა და ფსიგოლოგის ოთახები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ოთახები ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. გამოყოფილია ოთახები უცხოური ენების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, კომპიუტერების, მუსიკის, შრომითი (გოგოებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე) კაბინეტებისთვის. ამასტანავე, ცალკე ოთახები აქვთ მათემატიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ქართულის, სპორტის, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი);<br>• საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ზ" ქვეპუნქტი. |

**გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში არის სპორტის გაკვეთილების ჩასატაებლად ორი ოთახი (ერთ ოთახში ტარდება მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები, მეორეში - ტანვარჯიშის), რომლებიც აღჭურვილია სათანადო სპორტული ინვენტარით. ესენია: ჩოგბურთის ორი მაგიდა, ღერძი, შვედური კედელი, სავარჯიშო რგოლები, ზაგირი, ლეიბები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფები. გასახდელი ოთახები ვაჟებისა და გოგონებისათვის და ორი სველი წერტილი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ასევე სკოლის ეზოში არის ტანვარჯიშის გაკვეთილებისათვის გამოყოფილი სივრცე, სპეციალური აღჭურვილობით.<br>ამ ეტაპზე სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• სპორტული ინვენტარის შეძენის დოკუმენტაციით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შპს „ჯეო-დეკორისაგან" შეძენილი აქვს სასკოლო ლაბორატორია, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს. შენობაში მოწყობილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სამ სხვადასხვა კაბინეტში: ფიზიკის (მე-2 სართულზე), ბიოლოგიისა და ქიმიის (1-ელ სართულზე). ყველა კაბინეტს აქვს სველი წერტილი და საცავი. |
| დადასტურება/დანართი | • შესყიდვის დამადასტურებელი დოკმენტებით (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა);<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვია აუცილებელი გარემო, ელექტრო ენერგიის მიწოდების სისტემა, წყალმომარაგება, ორთავე მათგანი სკოლას მიეწოდება საქალაქო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | ქსელიდან. სკოლა არის "ყაზტრანსგაზი"-ს, GWP (ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) -ს და თელასის აბონენტი.<br>ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ოთახები თბება ცენტრალური გათბობის სისტემის მეშვეობით.<br>შენობის ორივე სართულზე კეთილმოწყობილია 9 სველი წერტილი ვაჟებისა - 2 (5 კაბინა) და გოგონებისათვის- 2 (6 კაბინა), მასწავლებლებისათვის 4 სველი წერტილი და ერთი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის 1-ელ სართულზე. |
| დადასტურება/დანართი | • მოხმარებული ელექტრო ენერგიის, ბუნებრივი აირის და სასმელი წყლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მუშაობა რეგულირდება ბიბლიოთეკის შინაგანაწესითა და სამუშაო გეგმით. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია თემატურად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 8140 ერთეულისაგან, რომელიც მოიცავს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებსა და ატლასებს (4769 ერთეული), ასევე მეთოდურ (435 ერთეული), მხატვრულ და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას (2936 ერთეული) ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (გამოცემული როგორც საქართველოში, ისე რუსეთის ფედერაციაში).<br>ბიბლიოთეკაში წიგნებისა და სხვა ბეჭდური გამოცემების მონაცემები მთლიანად აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესით, აღწერილია ელექტრონულ კატალოგში (ბაზაში) და ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................
ექსპერტი ----------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | შემუშავებულია ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები.<br>ბიბლიოთეკის მუშაობა რეგულირდება ბიბლიოთეკის შინაგანაწესით და სამუშაო გეგმით. |
| დადასტურება/დანართი | • ჩუქების აქტებით;<br>• ბიბლიოთეკის კატალოგით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განსაზღვრული აქვს ადაპტირებული გარემო. კერძოდ, ერთი სველი წერტილი პირველ სართულზე და პანდუსები, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.<br>ამჟამად სკოლაში სწავლობს ერთი განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე გადაყვანილია შინსწავლებაზე. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• მასალების ჩამოწერის აქტით;<br>• მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ფლობს 26 კომპიუტერსა და 16 ლეპტოპს, 6 პრინტერს, 3 მულტიფუნქციურ პრინტერს, 2 სკანერს და 2 პროექტორს.<br><br>სკოლაში მოწყობილი კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და საატესტო გამოცდების სრულყოფილად წარმართვას, სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში (ინტერნეტის მომწოდებელია კომპანია - სილქნეტი (SILKNET)).<br><br>21 კომპიუტერი, 12 ნოუთბუკი, 5 პრინტერი, 2 მულტიფუნქციური პრინტერი, 2 სკანერი, 1 ქსეროქსი და 1 პროექტორი განკუთვნილია სასწავლო პროცესისათვის. დანარჩენი ტექნიკა - სკოლის მართვისათვის.<br><br>სკოლის სარგებლობაშია ვებ-გვერდი (www.schoolintellect.com), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებგვერდი დარეგისტრირებულია ჩეხეთში, ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია კერძო პირთან, გიორგი ალანიასთან. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თარიღი, ხელშეკრულების დადების ადგილი, გიორგი ალანიას რეკვიზიტები. თუმცა, გადარიცხულია მომსახურების საფასური - 119 ევრო. ამავე დროს, არ ემთხვევა ერთმანეთს გადახდის ინვოისში, ხელშეკრულებაში და გადახდის საბუთში მითითებული რეკვიზიტები. (იხ. დანართი N1). |
| დადასტურება/დანართი | • სასაქონლო ზედნადებით;<br>• საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით;<br>• სკოლის ვებგვერდით - www.schoolintellect.com<br>• საგადასახადო დავალებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | • ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ, სერვერზე ხოსტინგისა და დომენის ინვოისითა და შესაბამისი გადარიცხვის დოკუმენთით (**დანართი N1 ექვს ფურცლად**). |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმითა, ცეცხლმაქრით (20 ცალი); ვიზიტის პერიოდში დაიდო ხელშეკრულება და გადაირიცხა შესაბამისი თანხა 20 (ოცი) ახალი ცეცხლმაქრის შეძენაზე. ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები მოთავსებულია ეზოში თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო ცეცხლმაქრები შენობის ორივე სართულზე. სკოლაში შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, რომელიც ცნობილია ყველა თანამშრომლისა და მოსწავლისათვის. ცალკე დოკუმენტადაა გაწერილი სახანძრო უსაფთხოების ინსტრუქცია და გადანაწილებულია ფუნქციები სკოლის თანამშრომლებს შორის. |
| დადასტურება/დანართი | • ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტაციით;<br>• საევაკუაციო გეგმების დამზადების დოკუმენტაციით;<br>• ინტერვიურებით;<br>• დოკმენტით: „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხნძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები";<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი. |

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის დერეფნებში თვალსაჩინოდ, თითეულ სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• საევაკუაციო გეგმების დამზადების დოკუმენტაციით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი. |

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მუშაობს ექიმი. არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პრეპარატებითა და სამედიცინო ინვენტარით პირველადი დახმარებისათვის, შემუშავებულია და გაწერილი სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც წარმოდგენილია მისი უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სპეციალურ ჟურნალში აღრიცხულია მოსწავლეთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისა და დაავადებების შემთხვევები. |
| დადასტურება/დანართი | • ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქციით;<br>• საშტატო განრიგით;<br>• სამედიცინო კაბინეტის დებულებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................
ექსპერტი -----------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულება მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. კერძოდ, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული და გაწერილი აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმები. |
| დადასტურება/დანართი | • დოკუმენტით „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი. |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლას აქვს 22 უსაფთხოების ვიდეო კამერა (16 ცალი შენობის შიდა და 6 გარე პერიმეტრის სამეთვალყურე კამერა), რომლითაც კონტროლდება შენობის ორივე სართული და გარე პერიმეტრის ნაწილი.<br>შენობას აქვს 7 შესასვლელი კარი, რომელთაგანაც მხოლოდ ორი ძირითადი კარი არის აღჭურვილი 24-საათიანი მუშაობის რეჟიმის 6 ცალი სამეთვალყურეო კამერით (აღნიშნული კამერების მონაცემები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.) |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი -----------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ყველა დანარჩენი კარი დალუქულია და სკოლა ამ კარებებით არ სარგებლობს. დირექტორის განმარტებით მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ საგანგებო სიტუაციების დროს. |
| დადასტურება/დანართი | • კამერების შესყიდვის დოკუმენტაციით;<br>• კამერების ტექნიკური მონაცემებით;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნა. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები: პედაგოგიური საბჭოს დებულება, საგნობრივი კათედრების დებულება, მშობელთა ურთიერთობის წესი, შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, ბიბლიოთეკის დებულება, სამედიცინო კაბინეტის დებულება. თანამდებობრივი ინსტრუქციები: დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერის, ექიმის, საგნობრივი კათედრის გამგის, ბიბლიოთეკარის, ბუღალტრის, იურისტის, საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, საგნის მასწავლებლის და სხვა თანამშრომლების. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესით;<br>• სკოლის წესდებით;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულებით;<br>• მშობელთა ურთიერთობის წესით;<br>• საგნობრივი კათედრების დებულებით;<br>• ბიბლიოთეკის დებულებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | • სამედიცინო კაბინეტის დებულებით;<br>• თანამდებობრივი ინსტრუქციებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

**2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს. კერძოდ: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, სასწავლო აღმზრდელობითი და პროფესიული საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზება, სამეურნეო-საკომუნიკაციო საქმიანობა. ასევე, ხარისხის ინდიკატორები, ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირი და შესრულების ვადა.<br><br>სკოლის განვითარების გრძელვადიან გეგმაში (6 წელი) არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მკაფიოდაა გამოკვეთილი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.<br><br>სკოლას გაკეთებული აქვს SWOT ანალიზი.<br><br>**ძლიერ** მხარეებათ სკოლას მიაჩნია: სკოლის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ სკოლის კონტიგენტი ყოველწლიურად განიცდის ზრდას; სკოლის ყველა კურსდამთავრებული წარმატებით აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს და წარმატებით აგრძელებს სწავლას სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში; უცხო ენა ისწავლება გაღრმავებულად; სკოლის ყველა პედაგოგი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და შესაბამისად გადიან ტრენინგებს და იყენებენ სწავლების თანამედროვე მიდგომებს.<br><br>**შესაძლებლობები:** უფრო აქტიურად მიიღონ მოსწავლეებმა მონაწილეობა სკოლის გარეშე ოლიმპიადებსა, კონფერენციებსა და სპორტულ შეჯიბრებებში; გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა სკოლებთან აქტიური თანამშრომლობა; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | **სუსტი მხარეები:** სკოლას ამჟამად არ აქვს თანამედროვე უცხო ენის კაბინეტი უახლოესი ტექნიკით აღჭურვილი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრული ვერსია არ გვაქვს სრულყოფილად ასახული;<br>**საფრთხეებათ** სკოლას მიაჩნია: სასწავლო პროცესის დაწყებამდე სკოლის ტერიტორიაზე ავტომანქანების გადატვირთული მოძრაობა აფერხებს მოსწავლის და თანამშრომლების გადადგილებას; სკოლის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები საფრთხეს ვერ შეუქმნის სკოლის საქმიანობას |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის SWOT ანალიზით;<br>• 2017/2018 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;<br>• სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით. კერძოდ: ბრძანებების 2 წიგნი (თანამშრომლების ბრძანებებისათვის და მოსწავლეთათვის ცალცალკე), გასული და შემოსული კორესპონდენციების წიგნები, მშობლებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნი, სკოლის თანამშრომლების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური აღრიცხვის წიგნი, რომელშიც მოსწავლეთა მოძრაობის რეგისტრაცია ასახულია. სპეციალურ საქაღალდეებში ინახება ბრძანებები, ოქმები, შემოსული და გასული კორესპოდენცია, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალები (თანამშრომლებისათვის და მოსწავლეთათვის ცალცალკე). კანცელარიაში, აგრეთვე, ინახება თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, სხვა სახის დოკუმენტები. |
| დადასტურება/დანართი | • ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალით;<br>• შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | • ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალებით;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნით;<br>• მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალით;<br>• სკოლის თანამშრომლების აღრიცხვის ჟურნალით;<br>• მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეებით; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა „ინტელექტში" არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 44 პედაგოგი.<br>სკოლის ძირითადი და დამხმარე პერსონალია: დირექტორი, დირექტორის ორი მოადგილე, ბუღალტერი, სასწავლო ნაწილის ორი გამგე, სასწავლო ნაწილის მენეჯერი, კოორდინატორი, სკოლის ოფის-მენეჯერი, ორგანიზატორი, დირექტორის ორი თანაშემწე, იურისტი, ორი საქმისმწარმოებელი, სწავლის ხარისხის კონსულტანტი, სამეურნეო ნაწილის უფროსის თანაშემწე, IT-მენეჯერი, ისტ-ის კაბინეტის გამგე, სკოლის საიტის ფოტოგრაფი, ფსიქოლოგი, ექიმი, ლაბორანტი, ბიბლიოთეკის გამგე, ბიბლიოთეკარი, კლუბის გამგე, მუშა, გაზოპერატორი, დამლაგებელი, დარაჯი, კონტროლიორი, მეეზოვე, ვიდეოკონტროლის ოპერატორი, მძღოლი. სკოლას ჰყავს გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებლები და დამატებითი აღზრდის პედაგოგები.<br>საერთო ჯამში სკოლაში დასაქმებულია 83 ადამიანი. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეებით;<br>• E-school-ის მონაცემებით;<br>• ხელშეკრულებებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................................
ექსპერტი ----------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | • დირექციისა და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი. |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დასაქმებულია 44 პედაგოგი, მათგან 7 უფროსი მასწავლებლი, ხოლო 33 - პრაქტიკოსი.<br><br>2 (ორი) პედაგოგი არ არის ჩართული „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“:<br><br>1. მათემატიკის მასწავლებელი ტატიანა არუთინოვა დასაქმებულია 2017 წლის 05/09-დან. დიპლომის მიხედვით აქვს მათემატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია და მათემატიკის მასწავლებლის სერტიფიკატი.<br>2. რუსულის (მშობლიური) მასწავლებელი ვიქტორია გლებოვა დასაქმებულია 2016 წლის 01/09-დან. აქვს ფილოლოგის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. რადგან არ არსებობს შესაბამისი საგნობრივი გამოცდა, პედაგოგი ვერ ადასტურებს კომპეტენციას.<br><br>2 (ორი) პედაგოგი არ არის შერჩეული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<br><br>1. ფიზიკის მასწავლებელი ვიქტორია იაროვაია დასაქმებულია 2017 წლის 05/09-დან. დიპლომის მიხედვით აქვს რადიოფიზიკოსის კვალიფიკაცია 21 წლის პედაგოგიური სტაჟით. 2015 წელს ის არ იყო მოქმედი მასწავლებელი და არ ჩართულა სქემაში, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ის ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | 2. ინგლისურის მასწავლებელი ანჟელა ლალიაშვილი დასაქმებულია 2017 წლის 05/09-დან. დიპლომის მიხედვით აქვს მთარგმნელ-რეფერენტის კვალიფიკაცია. 2017 წელს ჩააბარა საგნობრივი გამოცდა. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეებით;<br>• E-School ბაზით; |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით. |

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. |
| დადასტურება/დანართი | • შპს ზოგადსაგანმანათლელო სკოლა „ინტელექტის“ შინაგანაწესი;<br>• შპს ზოგადსაგანმანათლელო სკოლა „ინტელექტის“ მასწავლებელთა შერჩევის, მიღების, განთავისუფლებისა და წახალისების წესი; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას მასწავლებლებთან, დამხმარე მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან და გახანგრძლივებული ჯგუფის პედაგოგებთან, ასევე, დირექციასთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების პერიოდში |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი -----------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. |
| დადასტურება/დანართი | • შრომითი ხელშეკრულებებით;<br>• სკოლის დირექტორის ბრძაბება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით. |

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა. დოკუმენტში გაწერილია აქტივობები, განხორციელების დრო და პასუხისმგებელი პირები.<br>მიმდინარეობს მასწავლებლების ურთიერთდასწრება. მასწავლებლები ესწრებიან, აკვირდებიან და აფასებენ ერთმანეთს სპეციალური ფორმების მეშვეობით. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და მასწავლებლის შეფასებები წარმოდგენილია კათედრის ჟურნალებში.<br>სკოლაში შექმნილია მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. დამტკიცებულია შეფასების ჯგუფის შემადგენლობა და ფასილიტატორები. |
| დადასტურება/დანართი | • შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ინტელექტის" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა;<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ინტელექტის" მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება;<br>• შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ინტელექტის" მასწავლებლის შეფასების საქმიანობის გეგმა;<br>• კათედრის ჟურნალები;<br>• შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>• ურთიერთდასწრების გრაფიკით და შეფასებებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................
ექსპერტი ----------------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | ინტერვიურებით (მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან) დასტურდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>მოსწავლეები სკოლის უპირატესობად მიიჩნევენ კეთილგანწყობილ გარემოს, მეგობრულ ურთიერთობებს მოსწავლეთა შორის. მშობლები არღნიშნავენ, რომ სკოლაში მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენება, პედაგოგები გამოირჩევიან მზრუნველობით და ყურადღებით.<br>სკოლაში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები სწავლობენ. ეწყობა სხვადასხვა ქვეყნის კვირეულების კულტურული მრავალფეროვნების გაცნობის მიზნით.<br>სკოლაში ხშირად ტარდება გასართობი და საგანმანათლებლო ღონისძებები. |
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიუები<br>• ფოტო-მასალა<br>• სკოლის ვებ-გვერდი<br>• სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით. |
| სულ დანართი | 6 (ექვსი) ფურცელი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

ექსპერტი ------------------------------------------------------------